ხელშეკრულება 3ოთ/11/01/13
სატელეფონო საინფორმაციო მომსახურების შესახებ

ქ. თბილისი 22 იანვარი, 2013 წელი

საერთაშორისო და საქალაქთაშორისო კავშირგაბმულობის კომპანია შპს "ქოლ ცენტრი" შემდეგში წოდებული როგორც "ქოლ ცენტრი", მისი დირექტორის იზოლდა ტაბატაძის სახით, ერთის მხრივ და შპს „საქაერონავიგაცია" შემდგომში წოდებული როგორც "აბონენტი", მისი გენერალური დირექტორის გოჩა მეზვრიშვილის სახით, მეორეს მხრივ, ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. "ქოლ ცენტრი" უზრუნველყოფს "აბონენტის" კუთვნილი სატელეფონო ნომრებიდან დანართ №1-ში მითითებულ საკონსულოებთან სატელეფონო საინფორმაციო მომსახურებას ყოველდღიურად ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით 9:00 – 18:00 სთ-მდე (სადღესასწაულო და დასვენების დღეების გარდა, 13:00–14:00 სთ. შესვენება).

1.2. შესყიდვის ობიექტის კლასიფიკატორის კოდი (CPV): 64211000.

1.3. შესყიდვის საშუალება: გამარტივებული შესყიდვა, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის საფუძველზე.

2. ტარიფიკაცია და ანგარიშსწორების პირობები

2.1. ანგარიშსწორება "ქოლ ცენტრ"-სა და "აბონენტს" შორის ხორციელდება თვეში ერთხელ, საანგარიშო თვის ყოველი მომდევნო თვის 15 რიცხვამდე.

2.2. ანგარიშსწორება ხორციელდება დანართი №1-ში მოცემული ტარიფის შესაბამისად ფაქტიურად ნასაუბრები დროის შესაბამისად. დანართი №1 წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2.3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 400 ლარს დღგ-ს ჩათვლით.

2.4. გაწეულ მომსახურებაზე ანგარიშ-ფაქტურისა და დეტალური ინფორმაციის მიწოდებას "აბონენტის" იურიდიულ მისამართზე უზრუნველყოფს "ქოლ ცენტრი" საანგარიშო თვის მომდევნო თვის ათ რიცხვამდე.

2.5. ანგარიშსწორების ფორმა: უნაღდო ანგარიშსწორება.

3. მხარეთა ვალდებულებანი

3.1. "ქოლ ცენტრი" ვალდებულია:

- მოემსახუროს "აბონენტს" საერთაშორისო სტანდარტების დონეზე;
- უზრუნველყოს მაღალი ხარისხის სატელეფონო კავშირი;
- მოახდინოს გაწეული მომსახურების დეტალური ინფორმაციული უზრუნველყოფა;

- ოპერატიულად განიხილოს "აბონენტის" პრეტენზია და გასცეს მოტივირებული პასუხი ნებისმიერ სადაო საკითხზე.

3.2. "აბონენტი" ვალდებულია:

- ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში მოახდინოს ანგარიშსწორება "ქოლ ცენტრთან";
- დროულად აცნობოს "ქოლ ცენტრს" სატელეფონო კავშირთან არსებული ხარვეზების შესახებ (საკონტაქტო ტელეფონი: 2 44-10-20, 2 14-21-21).

4. მხარეთა პასუხისმგებლობა

4.1. ერთ-ერთი მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში, დამნაშავე მხარე დაზარალებულ მხარეს აუნაზღაურებს მიყენებულ ზარალს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5. პასუხისმგებლობისგან განთავისუფლება

5.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ვალდებულების შეუსრულებლობისათვის, თუკი ეს გამოწვეული იყო დაუძლეველი ძალის გარემოებათა გამო.

5.2. დაუძლეველი ძალა ნიშნავს ისეთ გარემოებებს, რომლებიც არ არსებობდნენ ხელშეკრულების დადების მომენტისათვის, წარმოიშვნენ მხარეთა ნების გარეშე და რომელთა დადგომის და მოქმედების კონტროლი აღემატება მხარეთა გონივრულ კონტროლს.

5.3. მხარე, რომელიც ვერ ასრულებს ვალდებულებებს დაუძლეველი ძალის გარემოებათა გამო, ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ მეორე მხარეს. თუ ასეთი შეტყობინება გაკეთებული არ იქნება 3 დღის ვადაში, დამრღვევ მხარეს უფლება არა აქვს პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების მიზნით მიუთითოს ასეთ გარემოებებზე, თუკი შეტყობინების გაუგზავნელობაც არ იყო გამოწვეული ამ გარემოებებით.

5.4. დაუძლეველი ძალის გარემოებათა სამ თვეზე მეტი ხნით არსებობისას მხარეს, რომელიც ასეთ გარემოებათა მოქმედების ქვეშ არ იმყოფება, უფლება აქვს ერთპიროვნულად ცნოს ხელშეკრულება ბათილად და ამის შესახებ აცნობოს მეორე მხარეს.

6. დავის გადაწყვეტა

6.1. სადაო საკითხებს მხარეები წყვეტენ ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. თუ ასეთი შეთანხმება ვერ იქნა მიღწეული დავის წამოჭრიდან ერთი თვის განმავლობაში, მხარეები მიმართავენ სასამართლოს.

7. ზოგადი დებულებანი

7.1. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება მხარეთა ურთიერთშეთანხმებით, ცალმხრივად შეტანილი ცვლილებები და დამატებები ბათილია შეტანის მომენტიდან.
7.2. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად. მხარეებს გადაეცემათ ხელშეკრულების თითო ეგზემპლიარი.
7.3. ხელშეკრულება ძალაში შედის ზემომითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.
7.4. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ნ. ასლამაძე, საერთაშორისო და საზოგადოებასთან ურთიერთობის ჯგუფის უფროსი.
7.5. მხარეებს შეუძლიათ ცალმხრივად შეწყვიტონ ხელშეკრულება, თუ მეორე მხარეს გააფრთხილებენ ამის თაობაზე წერილობით ერთი თვით ადრე.

8. მხარეთა რეკვიზიტები

"ქოლ ცენტრი"	"აბონენტი"
შ.პ.ს. "ქოლ ცენტრ"-ი	შპს „საქაერონავიგაცია"
ქ. თბილისი, ქიაჩელის ქ. №12	ქ. თბილისი, აეროპორტი, 0198
ტელ./ფაქსი 2 441020	ტელ. 2 744 212
ს/კოდი 204495046	ს/კოდი 208144051
ბანკი: "თიბისი ბანკი"	ბანკი: სს „ბანკი რესპუბლიკა"
ბანკის კოდი: TBCBGE22	ბანკის კოდი REPLGE22
ა/ა GE56TB1100000360200346	ა/ა GE69BR0000000005467067
იზოლდა ტაბატაძე	გოჩა მეზვრიშვილი
დირექტორი	გენერალური დირექტორი

დანართი 1
2013 წლის №მომს/11 /01/13 ხელშეკრულებასთან

შპს "ქოლ ცენტრ"-ის სატელეფონო ნომრები:

1. **900007001** – გერმანიის საკონსულოს საინფორმაციო მომსახურება
(გერმანია, პორტუგალია, ფინეთი)

2. **900007030** – საბერძნეთის საკონსულოს საინფორმაციო მომსახურება

3. **900007033** – საფრანგეთის საკონსულოს საინფორმაციო მომსახურება
(საფრანგეთი, ნორვეგია, ისლანდია, მონაკო)

4. **900007039** – იტალიის საკონსულოს საინფორმაციო მომსახურება

შემომავალი ზარის ღირებულება შეადგენს 3 (სამი) ლარს დღგ-ს ჩათვლით.

იზოლდა ტაბატაძე
შპს „ქოლ ცენტრის"
დირექტორი

ბ.ა.

"CALL CENTER" LTD * 204495046 * GEORGIA

გოჩა მეზვრიშვილი
შპს „საქაერონავიგაციის"
გენერალური დირექტორი

ბ.ა.

"SAKAERONAVIGATSIA" LTD 208144051 GEORGIAN AIR NAVIGATION